



1116775343680

www.info.court.ge

მოსარჩელისადმი  
მოპასუხის წერილობითი პასუხისა და  
მასზე დართული საბუთების ასლების  
გზავნილი

თბილისის საქალაქო სასამართლო  
დ. აღმაშენებლის ხეივანი XII კმ. N6

მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“

წარმომადგენელს

ნინო გუჯარაიძეს

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ №27/29, მე-2 სართული, ბინა 13,  
599 90 25 20

გეგზავნებათ მოპასუხე ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის  
შესაგებელი და მასზე დართული საბუთების ასლები ასოციაცია „მწვანე  
ალტერნატივას“ სარჩელთან დაკავშირებით.

თქვენ უფლება გაქვთ წარმოადგინოთ სასამართლოში დამატებითი  
მტკიცებულებები, აგრეთვე წერილობით აცნობოთ მოსამართლეს თქვენი  
მოსაზრებები მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე მისი მიღებიდან 5 დღის  
ვადაში.

მოსამართლის სხდომის მდივანი

ნინო სახელაშვილი



თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას  
შპოლად სასამართლო მოხმარებისთვის

### შესაგებავლი ადმინისტრაციულ საქმეზე

ქ.თბილისი, თბილისის რაიონი

საქმე №3/696-14

ასოციაცია შწვანე ალტერნატივა  
მოხარჯელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

მირანდა ერემაძე  
მოსამართლის სახელი და გვარი

#### მოკასუსმა: შენიშენა-1

ქ.თბილისის მერიის სსიპ -  
ქ.თბილისის არქიტექტურის  
სამსახური  
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ.თბილისი, ვიული შარტავას ქ.№7

პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილმამოყვებელი)

ალტერნატიული მისამართი შენიშენა-2

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.      სამსახურის ტელ.      მობილური      ფაქსი      ელექტრონული ფოსტა

#### მოკასუსის წარმომადგენელი: შენიშენა-3

თამარ მესხიძე

61004057713

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ქ.თბილისი, ვიული შარტავას ქ.№7

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

591 16 21 28

სახლის ტელ.      სამსახურის ტელ.      მობილური      ფაქსი      ელექტრონული ფოსტა

#### საკონტაქტო პირი: შენიშენა-4

სახელი, გვარი      სახლის ტელ.      მობილური      ელექტრონული ფოსტა

ვალდებული ხართ თქვენი შესავალი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსარჩებელი სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის ვაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სასატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge  
სანიშნულ ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-7*

**ცნობთ თუ არა სარჩელს?**

დიახ

არა

ნაწილობრივ

*შენიშვნა-8*

**მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების დაცვის საბჭოს წევრების კომპლექსური აირჩევადობის პროცედურის შესახებ**

მუხ. 9      მუხ. 10      მუხ. 11

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მუ-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მუ-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მუ-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მუ-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

**დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები**

მუხ. 12      მუხ. 13      მუხ. 14

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

მიგანნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ  რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-15

მიგანნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

დიახ  რის საფუძველზე?

არა

შენიშვნა-10

მიგანნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

დიახ  რომელი საფუძველით?

არა

შენიშვნა-17

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

დიახ  რომელი საფუძველით?

არა

შენიშვნა-18

## მოპასუხის პროზონის სასარჩელო მოთხოვნასა და მის საბართლგებრივ საფუძველზე

შენიშვნა-19    შენიშვნა-20    შენიშვნა-21

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებზე:

ქობილისის მერიის სსიპ - ქობილისის არქიტექტურის სამსახური არ ეთანხმება წარმოდგენილ სარჩელს, მიაჩნია უსაფუძველოდ, დაუსაბუთებლად და თვლის, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ქობილისის მერიის სსიპ - ქობილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანებით, შეთანხმდა ქობილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი №68, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.006), სასტუმროს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის მესამე მუხლის ორმოცდამეხამე პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა არის განსაკუთრებული იერარქიის ნებართვა, როგორც წესი, იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ აღმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად: პირველი სტადია - ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება); მეორე სტადია - არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება); მესამე სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ამავე დადგენილების 19-ე მუხლის მიხედვით, ამ დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამშენებლო საშუალებები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ვარგისად აღიარებისათვის იყოფა ხუთ კლასად: 1) პირველი კლასი - შენობა-ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს; 2) მეორე კლასი - შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით; 3) მესამე კლასი - შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით; 4) მეოთხე კლასი - შენობა-ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით; 5) მეხუთე კლასი - შენობა-ნაგებობები რისკის მომეტებული ფაქტორით (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები).

მოცემულ შემთხვევაში სადავო 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანებით შეთანხმდა მეოთხე კლასის მქონე შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი.

მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობის განმსაზღვრელი მახასიათებლები, სამშენებლო დოკუმენტის პროექტის, სანებართვო პირობები და ნებართვის გაცემის წესები მოცემულია ზემოთ ხსენებული დადგენილების 75-ე, 76-ე, 77-ე და 78-ე მუხლებში. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების სტადიაზე დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა ზემოთ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რომელთა შესწავლისა და კანონმდებლობასთან შემოწმების შემდეგ გაიცა სადავო მშენებლობის ნებართვა.

სამსახური განმარტავს, რომ საპროექტო ტერიტორია არ არის და არც სადავო აქტის გამოცემის დროს არ ყოფილა მოქცეული კულტურული დასვენების პარკის („ვაკის პარკის“) საზღვრებში. აღნიშნულის დამადასტურებლად კი მივითითებთ მუნიციპალიტეტის 1998 წლის 25 ივნისის №12.01.255 დადგენილების საფუძველზე მომზადებული ვაკის პარკის ტერიტორიის საზღვრების გეგმაზე. სადაც ნათლად ჩანს, რომ საპროექტო ტერიტორია არ წარმოადგენს ვაკის პარკის შემადგენელ ნაწილს და გამოყოფილია ცალკე ერთეულად.

„საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების, პარკების, ბაღებისა და სკვერების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1998 წლის 17 ივლისის №1538-რს დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, „დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი მშენებლობა და ლანდშაფტის იერსახის შეცვლა საქართველოს იმ პარკებში, რომლებიც კულტურის ძეგლთა კატეგორიას განეკუთვნება. ამავე დადგენილების მე-3 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს პარკებში, ბაღებსა და სკვერებში, სადაც უკანონოდ აშენდა და შენდება მათთვის შეუფერებელი ფუნქციის მქონე ნაგებობები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხდეს ამ ნაგებობათა ლიკვიდაცია. სხვა შემთხვევაში შეიცვალოს ან ნაგებობის ფუნქცია პარკის, ბაღისა და სკვერის სასიკეთოდ.“

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება საქართველოში არსებულ პარკებზე, ბაღებსა და სკვერებზე და არა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. შესაბამისად, დაუსაბუთებელია აპელირება იმაზე, რომ აღნიშნული დადგენილება ვრცელდება საპროექტო ობიექტის მიმართაც. რამდენადაც სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და არა უშუალოდ პარკის ტერიტორიაზე.

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომლის შესაბამისადაც მოხდა ქ.თბილისის ტერიტორიის ზონირება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ საპროექტო ობიექტი (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.006) მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2).

„ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების მე-19 მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1 -ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები. მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) - 0,2. ხოლო ამ გადაწყვეტილების დანართი - 1-ის მერვე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური ზონალური შეთანხმების არსებობის პირობებში სარეკრეაციო ზონა 2-ში დასაშვებია სასტუმროს მშენებლობა.

ასევე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ქ.თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის №1592 გაკანარგულებით გიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ.№68-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით.

სამსახური ასევე ვერ დაეთანხმება მოსარჩელეთა აპელირებას ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემული სადავო აქტით საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის დარღვევასთან დაკავშირებით, ვინაიდან „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად, „ამ კანონის მიზანია დაადგინოს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის: ა) მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმისათვის; ბ) ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ეკოლოგიური ზრდისათვის.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „ამ კანონის ამოცანაა : სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სივრცით-ტერიტორიული წინაპირობების შექმნა; ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა; დასახლებათა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის ფორმირებისათვის საფუძვლის შექმნა.“

ზემოთ ხსენებული კანონის მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო ინტერესებს განეკუთვნება: ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, სიანჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიის შენარჩუნება და განვითარება. თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი.“

მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობა არანაირად არ აუარესებს ჯანსაღ საცხოვრებელ გარემოს, პირიქით საპროექტო მშენებლობა თავის თავში მოიაზრებს გარკვეული სახის ინფრასტრუქტურულ ღონისძიებათა გატარებას, რაც ხელს შეუწყობს სანიტარულ-ჰიგიენური

პირობების გაუმჯობესებას. სასტუმრო იქნება მაღალი კლასის და აქვს მაღალი სტანდარტები ეკოლოგიური, გამწვანების, ტერიტორიის კეთილმოწყობის თვალსაზრისით. მოცემული გარემოების გათვალისწინებით, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა და ზემოაღნიშნული ფუნქციით პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა უზრუნველყოფს როგორც ქალაქგეგმარებითი და ეკოლოგიური მოთხოვნების კომპენსირებას, აგრეთვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. სამსახური კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ საპროექტო სამუშაოები ემსახურება ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სარეკრეაციო ზონის ეფექტურ გამოყენებას, ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის დასაქმებას, რაც განაკუთვნება სწორედაც, რომ საჯარო ინტერესის სფეროს. ამდენად, მოსარჩელეთა აპელირება კერძო და საჯარო ინტერესთა პროპორციულობის დარღვევასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

ამასთან, აქვე აღვნიშნავთ, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საპროექტო ობიექტის უარყოფით ეკოლოგიურ გავლენას მიმდებარე გარემოზე.

რაც შეეხება მოსარჩელეთა მითითებას საავტომობილო მოძრაობის ინტენსივობის მომატებასთან და მისასვლელი გზის არასებობასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ საქმეში წარმოდგენილია ამონარიდი საჯარო რეესტრის სააგენტოს საქართველოს საკადასტრო რუკიდან, რომლის მიხედვითაც სამშენებლო მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.006) გააჩნია დამოუკიდებელი საავტომობილო მისასვლელი გზა, ხოლო აპელირებას საპროექტო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის შესაძლო გამოყენებაზე, სამსახური განმარტავს, რომ „ქობილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონებში მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ობიექტის სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე. კანონმდებლობის ამ დანაწესის ანალიზი ვკავშირებს, რომ შეზღუდვა ავტოსადგომებთან მიმართებაში გათვალისწინებულია მხოლოდ საცხოვრებელი ზონებისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საპროექტო ობიექტი მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ2). ამასთან, მივუთითებთ, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობით ავტომობილების რაოდენობის გაზრდას და მიმდებარე ტერიტორიის პარკირებისათვის შესაძლო გამოყენებას შემზღობობა არ აქვს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან. რადგანაც, გარე ავტოსადგომის უნებართვოდ მოწყობა არის სხვა ორგანოს კომპეტენცია და აღნიშნულისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ზომები.

აქვე მხედველობაში მისაღება შპს „ტიფლის კოსტაეას" კონსტიტუციით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული და დაცული საკუთრების უფლება, რომლის ფარგლებშიც შეუძლია შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთრება და არ დაუშვას შესაძლო პირთა მხრიდან სარგებლობაში ხელშეშლა.

სამსახური ასევე ვერ დაეთანხმება მოსარჩელეთა მითითებას მასზედ, რომ სამსახურის მიერ 2013 წლის 01 აგვისტოს №803471 გადაწყვეტილებით დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები შეიცავდა საეკოლოგიურად გასათვალისწინებელ პირობებს, რომელთა არ გათვალისწინების შემთხვევაში არ უნდა გაცემულიყო მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახური განმარტავს, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში გაკეთებული ეს დანაწესი არის სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელი.

აგრეთვე სამსახური ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილი ნათლად მიუთითებს, თუ როდის არის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილი, კერძოდ, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები". ხოლო მეოთხე ნაწილის მიხედვით, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს.

აღმჭურველი აქტისთვის კანონმდებლობით შექმნილია განსაკუთრებული დაცვის გარანტიები, ანუ უნდა არსებობდეს დაინტერესებულ პირთა უფლებებისა და ინტერესების არსებითი დარღვევის ფაქტი, ისე რომ სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა შეუძლებელი გახდეს მოცემული აქტის გაუქმების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თვლის, რომ არ იქმნება სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. სადავო 2013 წლის 20 სექტემბრის №909795 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძვლები და სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

## მტკიცებითი უზამდგომლობები

მუხი-22

მოწმე

ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი

ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი

ფაქტობრივი გარემოება(ები)

მუხი-23

უამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

მუხი-24

უამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

მუხი-25

უამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

მუხი-26

## სხვა სახის უზამდგომლობები

მუხი-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ  რის საფუძველზე?

არა

მუხი-28

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ  ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მოლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

### თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ  მორიგების პირობები:

არა  რადგან

შენიშვნა-29

### თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-30 შენიშვნა-31

დანართი 1:

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა: 11

თანხმა ხართ თუ ა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ   
არა  რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

0 სხდომაში რადგან

შენიშვნა-33

თანხმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ   
არა  რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანხმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ   
არა  რადგან

შენიშვნა-35

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მიუუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

თამარ მესხიძე

28/03/2014 წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი, გვარი

შეცხების თარიღი

შეცხებული ფორმა შევიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.